



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 113

2017 წლის 14 აგვისტო

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N 86 დადგენილების მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N 62 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას 2017 წლის 14 აგვისტოს N 939395 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ 2017 წლის საგრანტო კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის წესი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს მანანა დათუაშვილის წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6).

მანანა მიქაბერიძე

2017 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში (მტკუ) პროექტის საბოლოო ქულის

გამოთვლის წესი

1. პროექტი შესაფასებლად გადაეცემა ორ დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტს.
2. თუ მათ მიერ დაწერილ ქულებს შორის სხვაობა არ აღემატება 8-ს, მაშინ საბოლოო ქულა იქნება ექსპერტების მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკული¹.
3. თუ ექსპერტების მიერ დაწერილ ქულათა შორის სხვაობა აღემატება 8-ს, მაშინ პროექტი შესაფასებლად გადაეცემა მესამე ექსპერტს.²
4. სამი ექსპერტის მიერ დაწერილ ქულებს შორის შეირჩევა ორი ახლოს მდგომი ქულა და საბოლოო ქულა იქნება ახლომდგომ ქულათა საშუალო არითმეტიკული.
5. თუ სამი ექსპერტის შეფასების შედეგად ქულები თანაბრად იქნებიან დაშორებული მედიანასგან³, მაშინ საბოლოო ქულა მედიანას ტოლი იქნება.
6. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი შეფასებულია ორი ექსპერტის მიერ ქულებით, რომელთა სხვაობა აღემატება 8-ს, ხოლო მაქსიმალური ქულა არ აღემატება 16-ს, მაშინ პროექტი შესაფასებლად მესამე ექსპერტს არ გადაეცემა⁴ და საბოლოო ქულა იქნება ორი ექსპერტის მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკული.

¹ ამ შემთხვევაში გადახრა 22,9%-ის ტოლია

² თუ ქულათა სხვაობა 9-ის ტოლია გადახრა იქნება 25,7%

³ თუ გვაქვს სამი რიცხვი, მაშინ მედიანა არის რიცხვი, რომელიც მინიმალურ და მაქსიმალურ რიცხვებს შორის არის მოთავსებული

⁴ ამ შემთხვევაში, მესამე ქულის ნებისმიერი მნიშვნელობისთვის საბოლოო ქულა ნაკლები იქნება 25-ზე, რაც შეფასების მეორე ეტაპზე გადასასვლელად არ არის საკმარისი (იხ. 2011 წლის 16 თებერვლის საქართველოს მთავრობის N86 დადგენილების დანართი 2, პუნქტი 3).